

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №888

ქ. ბათუმი, 12 დეკემბერი 2014 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ა“ და „ე.ფ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების განხორციელება (სამუშაოების დაწყება) შესაძლებელია მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის საფუძველზე და ნებართვით განსაზღვრული პირობებით, ხოლო ისეთი ობიექტების განთავსებისათვის, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა (I კლასის ობიექტებისათვის - დაგეგმილი მშენებლობის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურება) გადათხრითი სამუშაოების განხორციელება (სამუშაოების დაწყება) შესაძლებელია მხოლოდ ასეთი ნებართვისა (I კლასის ობიექტებისათვის - დაგეგმილი მშენებლობის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურებისა) და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის საფუძველზე და ნებართვით განსაზღვრული პირობებით.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში სამშენებლო ობიექტების განთავსებისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემისას (I კლასის ობიექტებისათვის - დაგეგმილი მშენებლობის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურებისას) მშენებლობის ნებართვის გაცემის აქტში (I კლასის ობიექტებისათვის - დაგეგმილი მშენებლობის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების აქტში) მიუთითოს, რომ ნებართვის მფლობელს გადათხრითი სამუშაოების განხორციელების (სამუშაოების დაწყების) უფლება აქვს მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

3. დამტკიცდეს „შემოვლის ფურცელი“ - ქ. ბათუმის საზოგადოებრივი ადგილის სარგებლობის შეზღუდვისათვის.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების განხორციელების (სამუშაოების დაწყების) ნებართვა გასცეს მხოლოდ „შემოვლის ფურცელში“ მითითებული ორგანიზაციების (დაწესებულებების) მიერ დადებითი გადაწყვეტილების (სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების) მიღების შემდგომ.

5. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების დაუცველად განხორციელებული გადათხრითი სამუშაოები ჩაითვლება, როგორც შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებული გადათხრითი სამუშაოები და გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

6. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს წინამდებარე ბრძანებიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

7. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი